

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს
სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეთა მშობელთა სათათბიროს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის მშობელთა სათათბიროს მშობელთა წარმომადგენლობითი, სარეკომენდაციო ფორუმი, რომლის მიზანია დაეხმაროს გიმნაზიის რექტორატს მოსწავლეთა მხრიდან გიმნაზიის შინაგანაწესის და ეთიკური კოდექსის მოთხოვნათა დაცვაში, გაუწიოს კოორდინაცია ურთიერთობებს მშობელთა და გიმნაზიის რექტორატს შორის.

მუხლი 2.

გიმნაზიის რექტორატსა და მოსწავლეთა მშობლებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საშუალებით, სადაც განისაზღვრება მშობელთა და გიმნაზიის ვალდებულებები, რომელიც უქმდება მოსწავლის გიმნაზიიდან ვადამდე გასვლის თანავე.

მუხლი 3.

მშობელთა საგიმნაზიო და საკლასო სათათბიროს უფლება აქვთ:

- 3.1. ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში წერილობითი განცხადებით მიმართოს გიმნაზიის რექტორატს, რომელიც ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები და დაწესებულ ვადაში ინფორმაცია მიაწოდოს მშობელთა სათათბიროს; მიიღოს აქტიური მონაწილეობა და დახმარება გაუწიოს გიმნაზიის საკლასო და კლასგარეშე მასობრივი, შემეცნებითი, სპორტული და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში.
- 3.2. გიმნაზიაში სასწავლო-საადმინისტრაციო პროცესებში მშობელთა აქტიური მონაწილეობის მიზნით დააყენოს საკითხები რექტორატის წინაშე, რომლებიც გამოითქმება საერთო კრებებზე.
- 3.3. გიმნაზიის სასწავლო გეგმის დებულებათა ფარგლებში გაეცნოს გიმნაზიის წესდებებს და სასწავლო პროცესების მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებს, მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას.

თავი II

სათათბიროს კომიტეტი, საათათბიროს წევრი და თავმჯდომარე

მუხლი 1.

მშობელთა საათათბირო მშობელთა შორის მუშაობის კოორდინაციის მიზნით ირჩევს კომიტეტს, რომლის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება გიმნაზიის კლასთა რაოდენობით.

მუხლი 2.

ცალკეული საკლასო მშობელთა საერთო კრება თავის პირველ სხდომაზე ღია კენჭის ყრით და დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით ირჩევს საკლასო საათათბირო წევრებს და ერთ წარმომადგენელს საგიმნაზიო მშობელთა საათათბიროში.

2.1. საკლასო კრება უფლებამოსილია თუ მათ ესწრება მშობელთა 2/3 -დი.

მუხლი 3.

საგიმნაზიო საათათბირო თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭის ყრით ირჩევს კომიტეტს 4 წევრის შემადგენლობით.

3.1. კომიტეტის წევრის ასარჩევად საჭიროა შემადგენლობის ნახევარზე მეტი ხმა.

მუხლი 4.

სათათბირო კომიტეტის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს საათათბიროს საქმიანობას. იგი საათათბიროს შემადგენლობიდან ნიშნავს მდივანს.

მუხლი 5.

სათათბირო იკრიბება სემესტრების დასაწყისსა და დამთავრებისას და საჭიროებისამებრ.

მუხლი 6.

სათათბიროს გადაწყვეტილებები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.